საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №8/20-4
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 18 სექტემბრის №8 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 9 ივლისის №360/8-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 10 ივლისის №8/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის კანონით განსაზღვრული ვადა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1 2016 წლის 2 თებერვალს, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის -- -- და -- -- მიმართ, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით. სასამართლომ სარჩელი მიიღო განსახილველად. მოსარჩელემ, მოპასუხეებისათვის გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო დასტური სასამართლოს წარუდგინა 2016 წლის 12 თებერვალს.

2016 წლის 23 თებერვალს, მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეთა წრე, ხოლო 2016 წლის 26 თებერვალს წარადგინა განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე. 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით, აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება გასაჩივრდა. 2016 წლის 29 მარტის განჩინებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმე საჩივრის განხილვის მიზნით გადაიგზავნა ზემდგომ ინსტანციაში (08.04.2016 – 08.07.2016 - საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

2016 წლის 27 ივლისს მოსარჩელემ კვლავ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და დააზუსტა მოპასუხეთა წრეც. დაზუსტებული სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად. მოპასუხეებმა 2016 წლის 22 აგვისტოს სასამართლოს წარუდგინეს შესაგებლები.

სასამართლოს პირველი მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 06.12.2016 წელს. საქმის განხილვა გაგრძელდა 2017 წლის 10 იანვარს, საქმის განხილვა მოწმეთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის განხილვის მიზნით, ასევე მორიგების მიზნით გაგრძელდა 2017 წლის 2 თებერვალს. სხდომისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის გამო სასამართლოს მთავარი სხდომა გადაიდო 2017 წლის 28 თებერვალს. საქმის სხდომაზე განხილვის შემდგომ, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 21 მარტს, რომელიც გადაინიშნა 2017 წლის 28 მარტს.

2017 წლის 28 მარტის სხდომაზე მოსამართლემ მიიჩნია, რომ სასამართლო უნდა დაბრუნებოდა საქმის არსებითი განხილვის სტადიას, დამატებითი გარემოებების გამოკვლევის მიზნით. სხდომა გადაიდო 2017 წლის 4 აპრილს. სხდომაზე დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა და შესაბამისი ორგანოდან სასამართლომ გამოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები. საქმეზე შემდგომი სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 31 მაისს.

2.2. 2017 წლის 30 მაისიდან, საქმე განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს. მოსარჩელის წარმომადგენელმა მაკა თინიკაშვილმა, საქმის შემჭიდროვებულ ვადაში განხილვის მოთხოვნით წარადგინა განცხადებები სასამართლოში 2017 წლის 27 სექტემბერს და 2018 წლის 2 მაისს. 2018 წლის 13 სექტემბერს საქმის განხილვა შეჩერდა მოსარჩელის -- --, მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე. საქმის განხილვა განახლდა 2019 წლის 12 აპრილს (7 თვე) და სხდომა დაინიშნა 2019 წლის 2 ივნისს.

მოსარჩელის წარმომადგენელმა -- -- 2019 წლის 4 ივნისს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს -- -- და საქმის დროულად განხილვის მიზნით მოითხოვა საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაწერა.

2.3. საქმის განმხილველი მოსამართლის სხვა სასამართლოში გამწესების გამო, 2019 წლის 11 ივნისიდან საქმე განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლე. მოსარჩელის წარმომადგენელმა -- -- 2019 წლის 9 დეკემბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს -- -- და საქმის დროულად განხილვის მიზნით მოითხოვა საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაწერა.

2.4. საქმის განმხილველი მოსამართლის სასამართლოში გადასვლის გამო 2020 წლის 8 იანვრიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. ამ ეტაპისათვის საქმეზე რაიმე საპროცესო მოქმედებები არ განხორციელებულა, საქმის განხილვა არ დასრულებულა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 10 ივლისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 4 თებერვლის №8 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები **არ შეიცავს** მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე[1].

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია[2]. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II 7
[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონკრეტული საქმის სირთულე, საქმეზე მოსამართლისა და მხარეთა მიერ განხორციელებული მოქმედებები, ჩატარებული სხდომები და სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებები.

გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტული დავა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის დავას, ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-31 პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

2020 წლის 8 იანვრიდან დასკვნის მომზადების დროისთვის საქმე განსახილველად აწერია მოსამართლე -- --. ამ პერიოდის განმავლობაში მოსამართლის მხრიდან რაიმე საპროცესო მოქმედება არ განხორციელებულა.

მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების სტატისტიკური მონაცემები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა -- -- სასამართლოში არსებული დავებისა, მოსამართლე -- --, როგორც -- მაგისტრატ სასამართლოში გამწესებული მოსამართლე, ასევე იხილავს -- -- არსებულ დავებს. 2020 წლის 1 იანვრიდან - 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით სტატისტიკური მონაცემების მიხედვით -- -- სასამართლოში მოსამართლეს ეწერა 1,076 საქმე (ყველა კატეგორია), საიდანაც დაასრულა - 572 საქმე (53.1%), ხოლო როგორც -- -- მაგისტრატ მოსამართლეს ეწერა - 67 საქმე, საიდანაც დაასრულა - 50 საქმე (74.62%).

მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე, სტატისტიკური მონაცემები და დასრულებულ საქმეთა რაოდენობა არ იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მოსამართლის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ფაქტს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები. შესაბამისად, 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №8/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი